№ 200
შაბათი, 18 სექტემბერი, 1899 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 200
შაბათი, 18 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 19 სექტემბერს,

**მინაი ივანეს ძის მირზოევის**

გარდაცვალების წლის თავზედ, ვანქის ტაძარში გარდახდილი იქნება განსვენებულის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 11 საათზედ, ხოლო პანაშვიდი ნაშუადღევის 1 საათზედ. (2—152—2)

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
**სალომე ი. კერესელიძე**
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—3)

**ნემენცევის ბაღში**
კვირას, 19 სექტემბერს,
სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება:
I
**არკადიას სადილი**
სცენები ჩვენის ვაჭრების ცხოვრებიდან.
II
**ადვოკატთან**
ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი.
III
**დივერტისმენტი**
წაიკითხავენ ლექსებს და იმღერებენ დუეტებს.
დასასრულ **ლეკური**
ადგილების ფასი 20 კაპეიკიდგან ვიდრე 1 მან. 50 კაპ.
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.
გამგე საფაროვი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7—7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა
დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უშიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაწაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

მ კ უ რ ნ ა ლ ი
**ვლადიმერ მახვილაძე**
(პეტერბურგის (მადრის) ქუჩა, სახლი № 11).

სწამლობს შინაგან სნეულებანით შეპყრობილთა და ბავშვებს ყოველ დღე 12-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (6—163—1)

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი
**პიანისტკა**
რ. მ ა ტ რ ო ს ო ვ ი ჩ ი,
რომელმაც გაათავა ვენის კონსერვატორია, ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას.
ადრესი: ნემსაძის სახლი, სადაც სცხოვრობს ინჟენერი ა. გ. ცეიტლინი (რკინის გზის სადგურის ახლოს). (15—139—13)

## ახალი ამბავი

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ დაუნიშნა აბესალომოვის სტიპენდია კერესელიძეს, რომელმაც წელს დაამთავრა სწავლა ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში.

*** ტფილისის გუბერნატორის იმ წინადადების გამო, რომელიც სავალდებულო დადგენილებათა გადასინჯვას შეეხება, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მიენდოს ეს გადასინჯვა გამგეობის წევრთ, ხოლო ახალ დადგენილებათა პროექტები წარუდგინოს ქალაქის მოურავს, რომელიც მათ განსახილველად სხდომას დანიშნავს.

## ფელეტონი

### უცხოეთა შორის

რკინის გზები და ჰაერში მოსიარულე გემები.—ლენგლეის ჰაერში საფრენი გემი.—ელექტრონი და ოსმალეთის სულთანი.—ელექტრონი ეგვიპტეში.—უცნაური მოვლენანი ბუნებისა.—მეხის ოინები.

თუმცა ჯერ ერთი საუკუნე არც-კი გასულა მას შემდეგ, რაც ორთქლმავალი გამოიგონეს და რკინის გზები შემოიღეს, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში უკვე უკმაყოფილება გაისმის,—დროა რკინის გზა ისტორიას ჩააბარდეს და იმის ნაცვლად მგზავრობისა და საზოგადოდ მიმოსვლისათვის ახალი, უკეთესი რამ იქმნას გამოგონილიო. ეს უკეთესი რამეც, რაღა ლაპარაკი უნდა, ჰაერში მოსიარულე მანქანა ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გემი იქმნება და აი სწორედ ამ გვარ გემსა თხოულობენ ევროპიელნი და ამერიკელნი ინჟენერებისა და ტეხნიკოსებისაგან. რკინის გზას ბევრი ვაი-ვაგლახი და წვალება უნდაო: ეს ადგილ-მდებარეობის კვლევა-ძიება, გვირაბის გათხრა, ტყეების გაჩეხა, მაღლობების დადაბლება და დაბლობების ამაღლება და მრავალი სხვა. ყველა ამას, უთვალავის ფულის გარდა, დიდი შრომა და ოფლის ღვრაც სჭირდებაო. სულ სხვაა ჰაერში მოსიარულე გემი, თუ-კი მცოდნე კაცები ეცდებიან და ასეთ გემს გამოიგონებენო,—გაიძახიან რკინის გზებზედ ვაგონების რახრახისაგან თავ-მობეზრებულნი. ამ გემს არც ადგილ-მდებარეობის გამოკვლევა უნდა, არც გვირაბების გათხრა, არც ლიანდაგის გამართვა და არც სხვა რამ; საითაც გინდა, იქით უზამ პირს და გაუდგები გზასაო.

ოღონდაც რომ გაუდგება გზას, თუ-კი ასეთი გემი იქმნება სადმე! მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამ გვარი რამ ჯერ-ჯერობით არსადა სჩანს. ვერც იმას ვიტყვით, რომ არავინა სცდილობს ამ გემის გამოგონებასაო. პირ-იქით, ვინ მოსთვლის, ამ საქმისათვის რამდენი იმტვრევს თავს და ათევს უძილოდ ღამეებს!..

ყოველს შემთხვევაში, მცოდნე კაცებს ეჭვი არა აქვთ, რომ აწინდელი ტეხნიკა სძლევს ყოველსავე დაბრკოლებას, დღეს არა ხვალ მაინც დაიმორჩილებს ჰაერს და შესძლებს იქ სიარულს. ვინ იცის, იქნება შორს აღარც კია ის დრო, როდესაც რომელისამე ხეობის ნაცვლად, მატარებელი გამაღლებული მიჰქროდეს და მიშხუოდეს ქალაქის ან სოფლის თავზედ, და იქნება ჩვენც-კი, მე და შენ, მკითხველო, მოვესწრათ ამ დროს!

***

მოვესწრებით თუ არა, ეს მარტო ღმერთმა უწყის, მაგრამ ეს კია, რომ ბოლო დროს გაზეთები თან და თან უხშირებენ ამ საგნის შესახებ ლაპარაკს და ხან ერთს მეცნიერს ასახელებენ, ხან მეორეს, რომელთაც ვითომ მიაგნეს ჰაერში სიარულის საიდუმლოს და გამოიგონეს სასიარულო მანქანა. აი ეხლაც, გაზეთები ბევრს რასმეს სწერენ ამერიკელის ინჟენერის ლენგლეის და იმის მიერ გამოგონილის მანქანის შესახებ.

დღემდის ლენგლეი საიდუმლოდ ინახავდა თავისს გამოგონებას, დღეს-კი ყოველივე გამოუქვეყნებია. ამბობენ, რომ ამ მანქანას ანუ გემს თავისუფლად შეუძლიან ჰაერში სიარული, ამასთან ისე ჩქარა, რომ ჩვეულებრივ მატარებელს ბევრით გაუსწრებს, სახელდობრ, საათში 150 ვერს თავისუფლად გაივლისო.

ლენგლეის საფრენი გემი ალუმინისაგან არის მომზადებული, შიგნით რამდენიმე ოთახია მგზავრისათვის. გარეგნობით დიდ ფრინველსა ჰგავს, იმასავით ფრთები აქვს და ფეხების ნაცვლად კიდევ თვლები. ერთ ოთახში მოთავსებულია ჰაერისაგან მომზადებული სითხე; მეორეში დიდი დინამო-ელექტრონის მანქანა სინათლისა და სითბოს გასაჩენად და აგრეთვე მანქანის პირველ ხანს მოძრაობაში მოსაყვანად. როგორც ვუწყით, დღემდის ჰაეროსტატის ასაფრენად მჟავბადს ხმარობენ, რომელიც ბევრად უფრო მსუბუქია ჩვეულებრივ ჰაერზედ; ლენგლეის მჟავბადის ნაცვლად თავისს გემის ასაფრენ ძალად ახლად-აღმოჩენილი გაზი კორონი უხმარია.

საფრენ გემს შემდეგი უმთავრესი ნაწილები აქვს: თვით გემი ანუ შუა წელი, სადაც მოთავსებულია ოთახები. ამ წელს ზევიდგან ჰაეროსტატი აბია, რომელმაც გაზის კორონის შემწეობით მანქანა ჰაერში უნდა აიტანოს; წელსავე აბია ფრთები, და თვლები. განსაკუთრებულის მანქანის შემწეობით ჯერ თვლებს მოიყვანენ მოძრაობაში; რაკი თვლები ტრიალს დაიწყებს და მთელ მანქანას მიწაზედ გააქანებს, ჰაეროსტატს გაზით გაავსებენ. გაზით გავსებული ჰაეროსტატი გაქანებულ მანქანას ჰაერში აიტაცებს. ამ მოძრაობის დროს ფრთები გაიშლება და მუშაობას დაიწყებს, ასე რომ ჰაეროსტატი თავისს გაზით საჭირო აღარ იქმნება, ამიტომ გაზს სითხეთ აქცევენ და შეინახავენ. წინ მიმაგრებულის გრძელის საჭეების შემწეობით გემს საითაც უნდათ, იქით მიატრიალ მოატრიალებენ. ჩამოშვების დროს ჰაეროსტატს ხელახლა გაავსებენ გაზით და გემს ჩამოუშვებენ.

აი, ასეა მოწყობილი ლენგლეის ახლად გამოგონილი მანქანა. ამბობენ, ამერიკელებმა უკვე ამხანაგობა შეადგინეს, რომელსაც ასეთის ჰაერში საფრენის გემების გაკეთება აქვს აზრადაო.

* *

რამდენად მართალი გამოდგება გაზეთების მიერ მოტანილი ამბავი ლენგლეის საფრენ გემის შესახებ, ამას უთუოდ ახლო მომავალი დაგვიმტკიცებს, ეს კია, მრავალნი ეჭვის თვალით უყურებენ და ამბობენ, ისეთი მანქანა, რომელიც ელექტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ ტფილისის მიხეილის სახელოსნო სკოლის სასწავლებლის დირექტორად, ნ. თ. დანილოვის ნაცვლად, რომელიც სხვაგან გადავიდა, საბჭოს სასწავლებელთა კომისიამ დანიშნა იმავე სასწავლებლის ინსპექტორი ინჟენერი ოჰანეზოვი.

⁂ ხვალ, 19 სექტემბერს, შუადღის 12 საათზედ, აკურთხებენ და გახსნიან ქალაქის პირველ-დაწყებითს სკოლას აგურხანებისა და იზმაილოვის ქუჩის კუთხეში.

⁂ ტფილისის მაზრაში საერო დარაჯთა დასის შედგენა უკვე დამთავრდა.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა თელავის ქალაქის მამასახლისს თელავის მაზრის უფროსის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქ. თელავში გაუქმებულ იქმნას ის გარდასახადი, რომელსაც ქალაქის მოედნებზედ ახდევინებენ ეტლებისა, ტვირთიან და უტვირთო პირუტყვის დაყენებისათვისაო და წინადადება მისცა, მომაწოდეთ ამ მოკლე ხანში დაწვრილებითი ცნობები და ახსნა-განმარტება ამ გარდასახადის აკრეფის შესახებაო.

⁂ ქალაქის გამგეობაში ხელ-მეორედ აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ცეცხლის მქრობელ რაზმთან დაარსდეს ბუხრების მწმენდელთა განყოფილება, რისთვისაც დაახლოვებით საჭირო იქნება 12 ათასი მან.; ფული სახლის პატრონებს უნდა გარდახდეთ; შემოსავალი-კი ამ განყოფილებიდგან დაახლოვებით 14,287 მან. იქნება.

⁂ სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორს შეუმჩნევია, რომ ხორცის დუქნებში ღამ-ღამე დუქნების მუშები იმ სტოლებზედ წვანან ხოლმე, რომელზედაც მეორე დღეს ხორცს აწყობენ, ხოლო აბანოების პატრონნი ღამე აბანოებში ვიღაც კაცებს უშვებენ ღამის სათევად. ამიტომ სასანიტარო ინსპექტორს პოლიცმეისტრისათვის მიუმართავს და უთხოვნია ზომები მიიღეთ ამის წინააღმდეგაო.

⁂ რადგან ქალაქის ინჟინერის თანამდ. აღმასრულებელი ბ-ნი მუხარინსკი დროებით განთავისუფლებულ იქმნა საამშენებლო განყოფილებაში მუშაობისაგან, ამის გამო ქალაქის გამგეობამ მიანდო მას შეიმუშაოს ამ მოკლე ხანში შემდეგი მოხსენებანი: 1) ქალაქის მილების გაფართოვებისა და ფილტრების გაკეთების შესახებ; 2) ქალაქის ტლის გამართვის შესახებ; 3) ქუჩების მოკირწყვლის შესახებ; 4) საამშენებლო ნაწილის სავალდებულო დადგენილებათა გადასინჯვის შესახებ; 5) ქუჩების გაუმჯობესებულ წესით მოკირწყვლის განზრახვის საქმე; 6) თივის მოედანზედ არხის გაყვანის შესახებ.

⁂ ხვალ, 19 სექტემბერს, ტფილისიდგან გაემგზავრებიან ავჭალაში ხმოსან-ტეხნიკოსთა განსაკუთრებული კომისია, ქალაქის გამგეობა და სასანიტარო კომისიის წევრნი წყლის მილების დასათვალიერებლად.

⁂ 9 სექტემბერს ტფილისის ქალაქის მოურავმა დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს ქალაქის გამგეობის მოხსენება 1900 წლისათვის სატრაქტირო გარდასახადის დაწესების შესახებ, რომელიც უდრის 55,016 მან. ამ წარმოდგენილების გამო, ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის მოურავს შემატყობინეთ, თუ რა მოსაზრებით შუამდგომლობთ ამ მოხსენების დამტკიცების შესახებაო.

⁂ ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება ორშაბათს, 20 სექტემბერს მოხდება.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა განიხილა ის ცვლილებანი, რომელიც განზრახვა აქვთ არსებულ საფილოქსერო წეს-დებულებაში შეიტანონ. ამ ცვლილებათა დედა-აზრია შეამციროს ფილოქსერიან ადგილების მცხოვრებთა შევიწროება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ ადგილების დაუზიანებლად, სადაც ფილოქსერა ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული. ამ მოსაზრებით განზრახვა აქვთ სრული უფლება მისცენ მცხოვრებთ გადაიტან-გადმოიტანონ მცენარეები ფილოქსერიან ადგილებში და არ მისცენ მხოლოდ იმის უფლება, რომ მცენარეები ფილოქსერიან ადგილებიდგან უფილოქსერო ადგილებში შეიტანონ.

⁂ გუშინ, 17 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილებამ გაარჩია საქმე ბ-ნის გერცენშტეინისა, რომელიც გაზ. „კავკასი“-ს რედაქტორს ვ. ლ. ველიჩკოს 200 მან. ედავებოდა — წერილი შემომიკვეთა, დამაწერინა თავისის გაზეთისათვის და შემდეგ არ დამიბეჭდაო. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ-მოსამართლის გარდაწყვეტილება, რომლითაც ბ-ნ გერცენშტეინს დავა არ იყო შეწყნარებული.

⁂ ამ მოკლე ხანში, როგორც ისმის, ტფილისის საგუბერნიო გამგეობაში მოხდება საზოგადო კრება საადგილ-მამულო გარდასახადის გასანაწილებლად ტფილისის გუბერნიის კერძო ადგილ-მამულთა შორის.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ტფილისის ნიკოლოოზის ორკლასიანი პირველ დაწყებითი სასწავლებელი გადაკეთებული იქმნას საქალაქო სამ კლასიან სასწავლებლად, რისთვისაც უნდა გადადებულ იქმნას 1900 წ. 1-ლ იანვრიდგან ყოველ წლივ 1,880 მან. დამატებითი კრედიტი.

⁂ როგორც სასანიტარო ინსპექტორის მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, ამ ბოლოს დროს ტფილისში საქონელს ციმბირის ჭირი გაჩენია. ამიტომ შუამდგომლობა აღუძრავს საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ საქონლის ბაკი რაც შეიძლება მალე იქმნას გამართული.

⁂ როგორც ისმის ქ. ბაქოში არსდება სამეურნეო საზოგადოება. განზრახვა აქვთ, რომ საზოგადოებასთან სამეურნეო-სამრეწველო მუზეუმიც დააარსონ.

⁂ საერო განათლების მინისტრის საყოველთაო მოწერილობის გამო, პეტერბურგის უნივერსიტეტში სამოსწავლო წლის დამდეგს არ იღებდნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სასწავლებელთა მოსწავლეებს. ამ ჟამად კი, რაკი პეტერბურგის უნივერსიტეტში შესულ მოსწავლეთა რიცხვი უკვე გამოირკვა, მიუღიათ ამ უნივერსიტეტში კავკასიელი მოსწავლენიც, რომელთაც ლექციების მოსმენის სურვილი ჰქონდათ განცხადებული.

⁂ „კავკ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორი დ. ს. ს. ვ. ი. კოვალევსკი მალე კავკასიაში გამოემგზავრება საზოგადოდ მრეწველობისა და კერძოდ ნავთის წარმოების გასაცნობად.

⁂ ამ მოკლე ხანში, როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, ტფილისში ჩამოვა ფინანსთა მინისტრის მიერ გამოგზავნილი მოხელე გარდასახადთა დეპარტამენტისა ბ-ნი ლასტოჩკინი, რომლის მონაწილეობით და აგრეთვე კავკასიის სახაზინო პალატების მმართველთა თანადასწრებით, გაიმართება სხდომები ამიერ-კავკასიაში გარდასახადთა აკრეფის წეს-რიგის შეცვლის საქმის გარდასაწყვეტად. ეს ცვლილება უმთავრესათ იმ აზრით განუზრახავთ, რომ ამიერ-კავკასიის მოხარკე მცხოვრებთ სხვა და სხვაგვარ ბეგარის მოხდა გაუადვილდეთ.

⁂ ამ დღეებში ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაკოტრებულ მოვალედა სცნო და სატუსაღოში დააპატიმრა არტემ ანჯაფარიძე, რომელმაც არეულობა გამოიწვია ქუთაისის საабრეშუმო და საფეიქრო ამხანაგობის საქმეებში. („ახ. მიმ.“)

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტი მიკოლოგი ნ. ნ. სპეშნევი 16 სექტემბერს ტფილისიდგან სოხუმსა და შავი ზღვის პირის სხვა ადგილებში წავიდა ვაზისა და ხეხილის ავადმყოფობის გამოსაკვლევად.

⁂ „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამოფენა ოფიციალურად დაიწყება ქუთაისის სამეურნეო სკოლასთან 19 სექტემბერს. ამ დღიდგან 30 სექტემბრამდე გაიმართება საუბრები. საუბრებს გაჰმართავენ: ყანის მეურნეობის შესახებ ბ-ნი ტიმოფეევი, ბაღოსნობისა და მებოსტნეობის შესახებ ე. ა. ლიუბინეცკი, ჩაის მოვლა-მოშენების შესახებ ა. ე. ვუჩინო, მეაბრეშუმეობისა და ფრინველების მოვლა მოშენების შესახებ ნ. ტ. მკურნალი, მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ ა. დ. შარაშიძე, მეფუტკრეობის შესახებ მაისუროვი და ს. პ. მატარაძე. გამოსაფენ ნაწარმოებთა მიღება გასტანს 27 სექტემბრამდე. გამოფენაზედ შესვლა უფასოა.

⁂ იმავე გაზეთს იქიდგანვე ატყობინებენ, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მიენდო ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან გამოსატან ფულის დანიშნულების განსაზღვრა, თავისს პირველ სხდომაზედ 12 ოქტომბერს დაავალა თავისს თავმჯდომარეს ცნობების შეკრება იმის შესახებ, თუ ბანკს რა წესით რომელ ვადაზედ და სახელდობრ რამდენი ფული შეუძლიან გარდასცეს თავად-აზნაურთ. შემდეგ სხდომამდეკი კომისიის წევრთ უნდა განიხი-

---

რონს არ მოჰყავს მოძრაობაში, ვერაფრად გამოდგებაო. მართლაცა და ელექტრონი საოცარი რამ ძალა გამოდგა. თითქმის სასწაულებს ახდენენ დღეს ელექტრონის შემწეობით. ელექტრონით ავადმყოფებს არჩენენ, შორს მანძილზედ ლაპარაკობენ, უზარ-მაზარ მატარებლებს დაარბევინებენ; ქუჩების განათებასა და სახლების გათბობას ხომ ნულარ იტყვით! ძვირად-ღა მოიპოვება დღეს ისეთი ქვეყანა, სადაც ელექტრონს რითიმე თავი არ ეჩინოს.

ელექტრონმა მოქალაქობრივი უფლება ოსმალეთშიაც კი მოიპოვა: ამ რამდენისამე თვის წინად ოსმალეთის სატახტო ქალაქის სტამბოლის ზოგიერთი ქუჩები ელექტრონის ლამფებით იქმნა განათებული. მკითხველმა შეიძლება გაიკვირვოს კიდეც და იფიქროს, ისეთ ქალაქს, როგორიც სტამბოლია, ელექტრონმა რად დაუგვიანა სტუმრობაო. მაგრამ გასაკვირველი აქ არაფერია, თუ გავიხსენებთ, რომ ოსმალეთის სულთანი მეტად ეჭვიანი კაცია. ამ ეჭვის წყალობით მოყვრად მისული ელექტრონი სულთანს მტრად უცვნია და გაუდევნია თავისს საბრძანებლიდგან. საქმე ასე მოხდა.

ამ რამდენისამე წლის წინად ერთმა გერმანულმა ამხანაგობამ მოიწადინა სტამბოლის ქუჩების ელექტრონით განათება. საქმე პირველ ხანს კარგად მიდიოდა, ამხანაგობამ კონცესია აიღო და ყველაფერი მოარიგა მუშაობის დასაწყებად. ბოლოს, სულთანმა თავისთან მთავარი ინჟენერიც-კი დაიბარა მოსალაპარაკებლად და საბოლოოდ საქმის გადასაწყვეტად. ლაპარაკის დროს, როდესაც ინჟენერი მომავალ მუშაობის გეგმას უხსნიდა სულთანს, აკი რაღაც ეშმაკად დინამო-მაშინა არ ახსენა. ამ სიტყვის წარმოთქმა და სულთანის ტახტიდგან წამოხტომა ერთი იყო.

— როგორ თუ დინამიტი?! — შეჰყვირა თურმე ოსმალეთის ბრძანებელმა, — გინდათ ააფეთქოთ სტამბოლი და იმასთან ერთად ჩემი სასახლე და მეცა?!!.

— თქვენო უდიდებულესობავ!.. დაიწყო თურმე შეშინებულმა ინჟენერმა, მაგრამ ხონთქარმა ყური აღარ დაუგდო, დაიბარა მდივანი და იქვე ბრძანება დააწერინა, რომლის ძალითაც აეკრძალა ყველას „ელექტრონის და იმასთან ერთად დინამიტის შემოტანა ოსმალეთში“. მას აქეთაა მოხელეებმა ელექტრონი „აღარ გააჭაჭანეს“ ოსმალეთში. ეს რამდენიმე თვეა მხოლოდ, რაც სულთანმა წინანდელი ბრძანება გააუქმა და ელექტრონს ხელ-ახლა მიანიჭა თავისს საბრძანებელში მოქალაქობრივი უფლება.

ერთმა ესპანელმა სტამბოლში ცირკი გამართა. ცირკში სხვათა შორის, კინემატოგრაფის შემწეობით დამსწრეთ სხვა და სხვა სურათებს აჩვენებდა. მაგრამ როდესაც მოხელეებმა გაიგეს, კინემატოგრაფს ელექტრონით ამუშავებსო, ცირკი დაკეტეს და ესპანელს უბრძანეს, ოსმალეთიდგან აიბარგეო. ესპანელმა ელჩს მიჰმართა და დახმარება სთხოვა. სწორედ იმ საღამოთი ელჩს სულთანთან ყოფნა მოუხდა. მოხერხებულმა ელჩმა კინემატოგრაფის შესახებ ჩამოუგდო ლაპარაკი და იმდენი რამ უამბო, რომ სულთანს კინემატოგრაფის ნახვის ცნობის-მოყვარეობა აღუძრა. მეორე დღეს ესპანელი სასახლეში დაიბარეს. პირველს წარმოდგენაზედვე სულთანს საშინლად მოეწონა კინემატოგრაფი. მალე ისიც შეიტყო, რომ ელექტრონი სარევოლიუციოს არაფერს წარმოადგენსს, და ამ დღიდგან ელექტრონმა ხელ-ახლა მოიკიდა ფეხი ოსმალეთში.

⁂

ოსმალეთს ამ მხრივ ბევრად გაუსწრო მეზობელმა სახელმწიფომ ეგვიპტემ. თვით ევროპაში ძვირად მოიპოვება სახელმწიფო, სადაც ელექტრონის ძალა ისეთ ხმარებაში იყოს, როგორც ეგვიპტეშია. ყველა ქალაქი იქ ელექტრონით არის განათებული. ქარხნებშიაც კარგა ხანია შემოიღეს იგი. ეს კიდევ არაფერი: ინგლისელებს აზრადა აქვთ ნილოსის წყალ-ვარდნილები გამოიყენონ და იმის წყალობით მთელ ეგვიპტეს ელექტრონის ტოკი მოჰფინონ. შარშან ეს წყალ-ვარდნილები დაათვალიერა გამოჩენილმა ელექტროტეხნიკოსმა ჯორჯ ფორბსმა და განაცხადა, მთავარი სადგური რომ გაიმართოს აქ, ამ სადგურში შემუშავებულ ელექტრონის ტოკით ეგვიპტეს ყველა ქალაქის განათება შეიძლებაო. იმავე ელექტრონის შემწეობით რამდენისამე ასის ვერსის სიშორეზედ შეიძლება მოირწყოს დიდი მინდვრები, რომლებიც დღეს უწყლობის გამო უნაყოფო და უსიცოცხლო უდაბნოებს წარმოადგენენ; შეიძლება აგრეთვე რკინის გზები ელექტრონით იქმნას მოყვანილი მოძრაობაში და მრავალი სხვა.

ყველა ამისათვის საჭიროა მხოლოდ, როგორცა ვთქვით, ერთი მთავარი სადგური გაიმართოს ნილოსის წყალ-ვარდნილთან. ამ სადგურს შეეძლება ელექტრონის ტოკი 1000 ვერსის სიშორეზედ გადასცეს და ნილოსის სათავიდგან, მაგალითად, ქალაქ ქაირის ქუჩები გაანათოს. მხედველობაში იქონიეთ, რომ დღეს ასე შორს მომქმედი ელექტრონის სადგური ჯერ არსად არის გამართული. უდიდეს სადგურად ითვლება ის, რომელიც ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელოს (კალიფორნიის შტატში) ასაზრდოებს ელექტრონის ტოკით. ეს სადგური კი ქალაქიდგან მხოლოდ 140 ვერსის სიშორეზედ არის გამართული.

საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ის სარგებლობა, რაც დღემდის ელექტრონის მოხმარებით ამ ძალას კაცობრიობისთვის მოუტანია, მეასედ ნაწილსაც არ შეადგენს იმისას, რის მოტანაც მას შეუძლიან. სავსებით და ყოველის მხრით არც-კი გამოკვლეული ეს მეტად უცნაური და საკვირველი ძალა. ამას ყველაზედ ნათლად გვიმტკიცებს ის ბუნების-მოვლენანი, რომლებიც ელექტრონის ძალისაგან წარმოსდგება, როგორც, მაგალითად, ელვა და მეხი.

⁂

ფრანგულ ჟურნალ „Journal des

ლონ და დაუპირდაპირონ ერთი მეორეს ზოგიერთ წევრთა წინადადებანი იმის შესახებ, თუ სახელდობრ რას უნდა მოხმარდეს თავად-აზნაურთა თანხის სარგებელი (თვითონ თანხა 430 ათასი მან. ხელ შეუხებელი უნდა დარჩეს): თავად აზნაურთა შვილებისათვის პანსიონ-თავშესაფარის გამართვას, თუ სტიპენდიების დაარსებას უმაღლესსა და საშუალო სასწავლებლებში იმ პირობით, რომ უნივერსიტეტში კურს-დამთავრებულ უნიჭიერეს ყმაწვილ კაცთ დახმარება მიეცეთ საზღვარ გარეთ სწავლის შესავსებად; ან კიდევ საქალებო სასწავლებლის დაარსებას მოხმარდეს ეს სარგებელი, თუ სათავად-აზნაურო სკოლის გიმნაზიად გადაკეთებას და სხ.

⁂ სრულიად რუსეთის რძის მეურნეობის მოღვაწეთა კრებაზედ 9 სექტემბერს, „სავაჭრო-სამრ. გაზ."-ის სიტყვით, წაკითხულ იქმნა ა. ა. ქალანთარის მოხსენება კავკასიის რძის მეურნეობის შესახებ. მომხსენებელს აღუნიშნავს კავკასიაში რძის მეურნეობის შესანიშნავი დაწინაურება, განსაკუთრებით ყველის მომზადების მხრივ, რომელიც, მისის აზრით, კიდევ უფრო იმატებს მომავალში. ამჟამად კავკასიური ყველი წელიწადში 13—15 ათას ფუთამდე იყიდება. კავკასიურ ყველს მრავალი ისეთი ღირსება აქვს, როგორიც შვეიცარიულს, რასაც ხელს უწყობს ადგილობრივი მცენარეულობა, რომელიც ალპიისას მოგვაგონებს. კავკასიის პირუტყვს, ქალანთარის აზრით, საუცხოვო თვისება აქვს გაუმჯობესებისა. ამ სახით ყველაფერი ხელს უწყობს კავკასიაში რძის მეურნეობის განვითარებას, განსაკუთრებით ყველის მომზადებისას, მაგრამ დღემდე-კი ამ საქმის ხელმძღვანელნი თითქმის სრულიად არ მოიძებნებოდნენ და ამიტომ რათა ეს საყურადღებო სამეურნეო დარგი უფრო განვითარდეს, საჭიროა დანიშნულ იქმნან კავკასიაში ინსტრუქტორები, დაარსდეს სკოლები, საცდელი სადგურები და სხ.

⁂ სოფ. მიქელ გაბრიელი, (გურია). ამა ენკენისთვის 12-ს დამთავრდა და აკურთხეს აქაური ორკლასიანი სამინისტრო სკოლის მშვენიერი შენობა.

კურთხევას დაესწრო მაზრის უფროსი ბატონი ლაზარენკო, რომელმაც კურთხევის შემდეგ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და განუმარტა იქ დამსწრე ბავშვებს და საზოგადოებას სკოლის მნიშვნელობა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე პირველი ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა კვიტაშვილმა, შეაქო და გაამხნევა საზოგადოება და უსურვა მომავალში კეთილი წარმატება.

კურთხევას არ დასწრებია სკოლის საპატიო მზრუნველი თავ. მიხეილ მიხეილის ძე ნაკაშიძე მისდამო დამოუკიდებელ მიზეზისა გამო.

თავადი ნაკაშიძე დიდი ხანია მზრუნველობას უწევს ამ სკოლას და იმედი გვაქვს, მომავალშიაც არ დააკლებს გონებრივსა და ნივთიერ დახმარებას.

ეხლა ჩვენი უსაჭიროესი მოთხოვნილება სამკითხველოა და კიდევაც ალებულია მთავრობისგან ნება-რთვა თ. იოსებ მიხეილის ძე ნაკაშიძისა და მზრუნველის ალექსი ბოლქვაძის მიერ. ამ თავად საჭიროა რამდენიმე ფულის მოგროვება, ჟურნალ-გაზეთის და წიგნების შეძენა და შემდეგ თან და თან გაძლიერდება სამკითხველო.

⁂ ოთხ სექტემბრიდგან „წერა-კითხვის საზოგადოება" ვეღარ უგზავნის დამბარებლებს „ბუნების კარსა", რადგანაც მეცხრე გამოცემა გამოილია ამ თვის პირველ რიცხვებში. ახალი მეათე გამოცემა ამ წიგნისა სტამბიდგან გამოვა ორი-სამი დღის განმავლობაში და დაუყოვნებლივ გაეგზავნება დამბარებლებს.

⁂ დიდი ფირმების-მიერ მომზადებულ ნავთის რაოდენობა ბაქოში ივლისის განმავლობაში შემდეგს რიცხვებს თურმე უდრის: ნობელის ამხ.—6,390,722 ფუთს, ა. მანთაშევის და ამხ.—4.197,474 ფ.; რუსეთის ნავთის მწარმ. საზოგ.—3.357,959 ფ.; ინგლის-შავი ზღვის საზოგ.—2.770,664 ფ; კასპიის ამხ.—2.695,906 ფ.; ბაქოს ნავთის საზოგ.—2,028,931 ფ., ძმ. მირზოევთა და ამხ.—2.007,100 ფ.; რუსეთის ნავთის ბაქოს საზოგ.—1.254,548 ფ.; ასადულაევისა—1.152,866 ფ.; გ. ზუბალოვისა—1.150,000 ფ.; „არამაზდა"-ს ამხ.—994,060 ფ.; შიბაევისა და ამხ.—909,468 ფ.; ა. ბენკენდორფისა და ამხ.—879,652 ფ.; ი. ტერ-აკოფოვისა—800,935 ფ.; სულ დიდ ფირმებს 1899 წლის ივლისში მოუმზადებიათ 30.175,975 ფუთი ნავთი, ხოლო მთელ ბაქოში მოუმზადებიათ 43,487,783 ფუთი. სულ 1899 წლის 7 თვის განმავლობაში მოუმზადებიათ 310 მილიონი ფუთი, ხოლო 1898 წელს იმავე ხნის განმავლობაში—277 მილიონი ფუთი. („კავკ.")

⁂ 16 სექტემბერს კრება ჰქონდა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას. მთელი ეს კრება საზოგადოებამ მოანდომა ორის მკურნალის გ. დ. მარკევიჩისა და ა. ა. მუხარინსკის მოხსენებას. მარკევიჩმა შემდეგი აუწყა კრებას.

შარშან ამ მკურნალთან მოუყვანიათ 16 წლის ახალგაზდა ქალი ს. ქალი ბავშვობითვე თიადორით ყოფილა ავად. ამ თიადორას ქალისთვის ცხვირი სრულიად მოუჭამია. ქალს მარკევიჩისთვის მიუმართავს და უთხოვნია როგორმე ახალის ცხვირის მობმა, 25 მაისს მარკევიჩს ახალგაზდა ქალი ხლოროფორმით დაუძინებია და პროფესორ სტუდენსკის საშუალებით ოპერაცია შეუდგომია. ჯერ ის ხორცი მოუშორებია, რაც თიადორას მორჩენოდა, შემდეგ იმის ადგილას ცხვირის მაგვარი ფირფიტები ჩაუსვამს და ზევიდგან ცხვირისავე კანი გაუწიმავს და ის გადაუფარებია. ამ რიგად ქალისთვის ხელოვნური ცხვირი მოუბამს. ეს ქალი მკურნალმა საზოგადოებაში მოიყვანა. იქ მყოფნი ყველანი გაჰკვირდნენ, როდესაც ისე ხელოვნურად და ოსტატურად მობმული ცხვირი ჰნახეს. ჩვეულებრივის ცხვირისაგან არც-კი გაირჩევა თურმე.

მკურნ. მუხარინსკიმ აუწყა კრებას თავისი გამოკვლევანი, რომელიც მას ტფილისში არსებულ ცოფის ამცრელ სადგურში მოუხდენია.

⁂ გუშინ, 17 სექტემბერს, საქალაქო ლაბორატორიის წარუდგენია სასანიტარო ინსპექტორისათვის ამ ლაბორატორიის მიერ გამოკვლეული, ხოლო ტერტეროვისა და ზუბუხიშვილის ქარხანაში ხელოვნურად მომზადებული სასმელები: ლიმონადი, ზელტერსკი და სხვა. როგორც გამოკვლევას აღმოუჩენია, ამ სასმელებში სხვა-და-სხვა მავნე ნივთიერებანი ყოფილა არეული. ლაბორატორიას ამ ქარხანაში მომზადებული ყველა სასმელი მავნედ უცვნია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. პერევისა,** (შორაპნის მაზრა). პერევისის საზოგადოებამ, რომელიც 7 სოფლისაგან შესდგება, არ იქნა, მამასახლისი ვერ შეინარჩუნა. კადის გათავებას გინა სჩივის, ვერ ხუთი თუ ექვსი წელიწადის, იმასთანა მამასახლისი არ შეგვხვედრია, რომ ერთს წელიწადზედ მეტი ემსახუროს. ზოგმა კვეხნით ჩამოიკიდა ჯაჭვი, ეს ანდამატი სოფლის ხალხისა, მაგრამ ატარა პატარა ხანს და გადასცა სხვას შემდეგის სიტყვებით: „მძიმე ყოფილა, ვერ ვზიდავ". სიმძიმისა-კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ვერავინ-კი ვერ გაუძლო ამ უბედურს კარისკვლაზე დაბადებულ ჯაჭვის ტარებას.

ჩვენი ძველი ბოქაული ბ-ნი ნოვოხატნი უმაღლესს ადგილზედ გადაიყვანეს, ხოლო მის მაგიერ გადმოიყვანეს ბ-ნი გედიკა.

ამ რამდენისამე ხნის წინად აქ სასოფლო ყრილობა მოხდა მთავრობის მოწერილობით. უკეთუ მთელი საზოგადოება ასურვებდა სოფ. სკინდორში მცხოვრებ გლეხთა—ძმათ თეიმურაზ, ბიჭია და სოლომონ ტყემალაძეების გადასახლებას, უნდა შეედგინათ ამის შესახებ განაჩენი. აღნიშნული ძმები წინა დღითვე დაპატიმრებულ იქმნენ ადგილობრივ მამასახლისისაგან. ყრილობადგან დათხოვნილ იქმნენ ტყემალაძეების ნათესავები. კრებაში დაამტკიცეს, რომ ტყემალაძეებს მოუხდენიათ რამდენიმე მკვლელობა, ქურდობა, ავაზაკობა და ძარცვა-გლეჯა ხომ იმდენი, რომ რიცხვი არა აქვს. ყოველივე ეს მიიღო-რა მხედველობაში საზოგადოებამ, ერთხმად დაადგინა: ეთხოვოს უმაღლესს მთავრობას, რომ ხსენებული ტყემალაძეები, როგორც მავნე წევრნი, სამუდამოდ განძევებულ იქმნან ჩვენის საზოგადოებიდგანა, ხოლო მანამ ჩვენი თხოვნა შესრულებულ იქნებოდეს, დატუსაღებულ იქმნან ისინი სამაზრო საპყრობილეში. ყოველივე გარდასახადს აღნიშნულ ძმებისას, აგრეთვე ხარჯს, რაც მთავრობას დასჭირდება მათ გადასახლებისათვის, კისრულობს საზოგადოება.

წელს, როგორც სხვაგან, ჩვენშიაც დიდი გვალვა იყო, რის გამოც ყოველივე მოსავალი ნაკლებია.

აქ მოდებულია კუჭის ავადმყოფობა, რომელსაც ხალხი „მუცელ ბატონებს" ეძახის.

ვანო გიუნაშვილი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** — სანამ დრეიფუსს სასჯელს მიუტევებდა მთავრობა, სამხედრო მინისტრმა, გენერალმა გალიფემ, შემდეგი წერილი გაუგზავნა რესპუბლიკის პრეზიდენტს:

„ბ-ნო პრეზიდენტო, 9 სექტემბერს (ახ. სტ.) სამხედრო სასამართლომ რენში, 5 ხმით ორის წინააღმდეგ, გარდაუწყვეტა დრეიფუსს 10 წლით ციხეში ჯდომა, იცნო-რა ამასთანავე სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებანი. დრეიფუსმა განასაჩივრა სასამართლოს განაჩენი, მაგრამ შემდეგ უკანვე

---

debats"-ში მეტად საინტერესო და საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი ამის შესახებ. ამ ცნობებიდგან ასჩანს, რომ ყოველ წლივ საფრანგეთში ელვასა და მეხს დიდი ზარალი მოაქვს.

როგორც ვუწყით, ხანდისხან მეხი მრგვალი ბურთივით ჩამოვარდება და იმდენს ხანს იგორებს, ვიდრე გასქდება. აი ასეთის ბურთის ბევრს ოინს მოგვითხრობს დასახელებული ჟურნალი. მარსელში, მაგალითად, ასეთი ბურთივით მრგვალი მეხი შევარდნილა ოთახში, იქ მჯდომ ახალგაზდა ქალის ტანზედ აცოცებულა, თავზედ გადაუვლია, შემდეგ ბუხრის კარებზედ მიკრული ქაღალდი მოუგლეჯნია, შევარდნილა შიგ ბუხარში და იქ გამსქდარა. საფრანგეთის ერთს სოფელში, ჭექა-ქუხილისა და ელვის დროს, უცბათ ასეთი ბურთი ხის წვერზედ დაუნახავთ იქვე მყოფ გლეხებს. ბურთი ნელ-ნელა ჩამოცოცებულა, მიწაზედ დაგორებულა და ბოსელთან იმ ადგილას მისულა, სადაც ორი ბავშვი მდგარა. ერთს მათგანს დაუნახავს თუ არა, სიცილით გამოსდგომია და ფეხი დაუდგამს. ამ დროს ბურთი გამსქდარა და ისეთი ხმა მოსულა, რომ მთელი სოფელი შეგროვილა. ბავშვი პირქვე დაცემულა, მაგრამ მალე ისევ უვნებელი წამომხტარა. იმავე დროს-კი მეხისაგან შიგ ბოსელში 11 ძროხა მომკვდარა. რემენში ჩამოვარდნილს მეხს დუქნის კარებში მდგარი მედუქნე ნაფოტივით შუა ოთახში შეუსროლია. მედუქნე ძალიან დაშავებულა, დროებით დაბრმავებულა კიდეც, მაგრამ სამაგიეროდ სრულიად განკურნებულა ქარებისაგან. წინად ყავარჯნებით ძლივს დადიოდა თურმე, მეხის შემდეგ-კი ისე მორჩენილა, თითქოს ქარები სულ არა ჰქონიაო.

კურსელ-ლე-სანში დედა და ორი ქალი ხელით სატრიალებელ წისქვილში რაღაცასა ჰფქვავდნენ თურმე. უცბად მეხი ჩამოვარდნილა, დედა იქავ მომკვდარა, ხოლო ქალები სრულიად უვნებელი გადარჩენილან, მაგრამ მეხს ისე გაუტიტვლებია და გაუძვრია იმათთვის ტანისამოსი, რომ ერთი ნაფლეთიც-კი აღარ შეუნარჩუნებია ტანზედ; ფეხსაცმელი და ჩულქებიც-კი გაუძვრია. ისეთი შემთხვევები, როდესაც მეხს ტანისამოსი გაუძვრია და სრულიად გაუტიტვლებია ადამიანი, ჟურნალში ბევრია მოყვანილი. ბევრჯელ ტანისამოსი რამდენისამე საჟენის სიშორეზედ უნახავთ.

* * *

ხშირად მეხი „ფოკუსებსაც" სჩადის თურმე. ერთს ლოთს ღვინით სავსე ჭიქა სჭერია ხელში, მეხის ბურთი მიგორებულა, ჭიქა ხელიდგან გამოუგლეჯნია და შორს გაუტყორცნია. ბევრჯელ მეხს ცხენზედ მჯდარ კაცისათვის მათრახი გამოუგლეჯნია ხელიდგან. ერთის დედაკაცისთვის, რომელიც თავისთვის წინდასა ჰქსოვდა თურმე, წინდის ჩხირები გამოუგლეჯია, ხოლო ბავშვისთვის—მხარზედ გადებული რკინის ორთითი, რომელიც 50 საჟენის სიშორეზედ გადაუგდია. ერთი ახალგაზრდა ქალი ეზოში მჯდარა, უცბად საიდგანღაც უცნაური ბურთი მიგორებული, ფეხებიდგან ტანისამოსს ქვეშ ტანს აჰყოლია, გულთან ამომძვრალა, ჰაერში აფრენილა და იქ გამსქდარა.

ზოგჯერ მეხი საზარლად ჰკლავს და საშინლად ამახინჯებს თურმე კაცს. ერთხელ ქალ. გრუაში ერთი კაცი ზედ შუაზედ გაუხლეჩია. ევერდონში (ინგლისშია) ათი გლეხი ყანასა მკიდა თურმე. მოულოდნელად ჭექა-ქუხილი ატეხილა და შხაპუნა წვიმა წამოსულა. გლეხებს მაღალ ლოპისათვის შეუფარებიათ თავი. ამ დროს მეხი ჩამოვარდნილა და ოთხი კაცი მოუკლავს, მაგრამ ეს კაცები არც წაუქცევია და არც დაუმახინჯებია: ისევე ცოცხლებივით ფეხზედ იდგნენ თურმე; ამხანაგებს მხოლოდ მაშინ გაუგიათ იმათი სიკვდილი, როდესაც ახლო მისულან და ხელი წაუვლიათ. ერთს ხელში ცხვირთან მიტანილი ბურნუთი ეჭირა თურმე, მეორეს—პურის ნატეხი პირისაკენ მიჰქონდა, მესამე-კი ჯოხზედ დაყრდნობილი მინდორს გაჰყურებდა.

ხშირად მეხი საათის ძეწკვს გულიდგან აცლის თურმე კაცს, ბეჭედს თითიდგან აძრობს, სამაჯურებს იტაცებს. 1894 წელს პარიჟში მეხს ერთ ახალგაზდა კაცისთვის, რომელიც ბაღში დასეირნობდა, საათი აუცლია გულიდგან და სადღაც გადაუკარგნია. ელექტრონის ლამფებიც ბევრჯელ აუნთია მეხს ქუჩებში. ასეთი ამბავი ქალ. ლიონში მომხდარა 1898 წელს 8 სექტემბერს.

საზოგადოდ მეხი მეტად თვალთმაქცი და ოინბაზი რამ ყოფილა. აი, სხვათა შორის, ერთ ქალაქში რა ოინი ჩაუდენია. ოთახში სძინებიათ ცოლ-ქმარს; შუაღამისას რაღაც ხმაურობისა და ალიაქოთისაგან გამოუღვიძნიათ და შეშინებულთ შემდეგი სურათი დაუნახავთ: ბუხარი ნელ-ნელა იქცეოდა თურმე, ჭერიდგან ფიცრის ნატეხები ცვიოდა, კედლებიდგან გამოვარდნილ ქვებსა და აგურებს ტყვიასავით ოთახში ზუზუნი გაჰქონდა; ამავე დროს რაღაც უხილავ ძალას ფანჯრიდგან შუშა ამოუღია და წყნარად იატაკზედ დაუდვია, თითქოს ეშინოდა, არ გატყდესო. მხოლოდ ყველა ამის შემდეგ ოთახში მრგვალი ბურთი შეგორებულა, ძალზედ შეშინებულ მეუღლეთა ტახტთან მისულა, გვერდზედ ჩაუვლია და მეორე ოთახში გასულა, სადაც რძის ქოთნები მდგარა. იქ ჯერ ცარიელი ქოთნები დაუმტვრევია, შემდეგ რძით სავსე ქოთნებისთვის სახურავები აუგლეჯნია და დასასრულ იმავე ოთახში მდგარ ღვინით სავსე ბოჭკისთვის პირს-საცობი ამოუძვრია, ღვინო სრულიად დაუღვრია და შემდეგ სადღაც გამქრალა. ასეთი მოუსვენარი და ოინბაზი რამ ყოფილა თურმე მეხის მრგვალი ბურთი.

ი. ა—ძე

წაიღო თავისი საჩივარი და განჩინება უცვლელად დარჩა. მთავრობა კალდებულია პატივისცემით მოეპყრას სასამართლოს გარდაწყვეტილებას, მაგრამ ამასთანავე ის იმის შესრულებასაც უნდა ეცადოს, რასაც გულკეთილობა მოითხოვს და საზოგადო ინტერესი. თითონ ვერდიქტი სასამართლოისა, რომელმაც იცნო შემამსუბუქებელი გარემოებანი, მის მიერ გამოთქმული სურვილი, რომ სასჯელი შემსუბუქებულ იქმნასო, ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორის ყურადღებით უნდა მოეპყრობა ამ საქმეს. აღმრული იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეიძლება თუ არა ციხეში ჯდომაში ჩაეთვალოს ის, რამდენ ხანსაც გაგზავნილი იყოვო; ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ დამნაშავეს თითქმის სრულიად მოხდილი ექნებოდა სასჯელი. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კანონი ამის ნებას არ იძლევა. ამნაირად დრეიფუსს იმაზედ მეტი სასჯელი დაურჩება მოხდილი, რამდენიც სასამართლომ მიუსაჯა. გარდა ამისა შეკრებილი ცნობები გვიჩვენებს, რომ დამნაშავის ჯანმრთელობა ძლიერ შერყეულია და ვერ აიტანს ხანგრძლივად საპყრობილეში ყოფნას. გარდა ამ მოსაზრებისა, სხვა მოსაზრებანიც არის, უფრო საზოგადო თვისებისა. უმაღლესი პოლიტიკური მოსაზრებანი, შეგნება იმისა, რომ საფრანგეთი შეკრებილი ჰქონდეს მთელი თავისი ძალ-ღონე, ძლიერ კრიზისების შემდეგ მუდამ მიტევებისა და დანაშაულობის დავიწყების გზაზედ აყენებდა მთავრობას. ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენზე არის დამოკიდებული პირველი მაგალითი ვუჩვენოთ ქვეყანას მშვიდობიანობის დამყარებისა, რასაც თხოულობს საზოგადოება და რესპუბლიკის კეთილდღეობა. ამისათვის პატივი მაქვს ამასთანავე მოგართვათ ხელის მოსაწერად დეკრეტი სასჯელის მიტევების შესახებო“.

—

**ინგლისი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ლონდონში უკვე დაუგარგავთ იმედი ტრანსვაალთან საქმის მშვიდობიანად გათავების შესახებ და ამიტომ ომის წინააღმდეგ ბევრი აღარავინ იღებს თურმე ხმას. მხოლოდ ფილოსოფოსი სპენსერი, მუშათა დასის ერთგნული საბჭო და ქალთა ლიბერალური კავშირი არიან წინააღმდეგნი ტრანსვაალთან ომის გამოცხადებისა. ამისდა მიუხედავად მთავრობა დროს უცურებს და უკანასკნელ სიტყვის თქმას არ ჩქარობს. ბევრნი ასე ჰფიქრობენ, რომ ინგლისელები განგებ იცდიან ასე იმ ანგარიშით, რომ ბოერები ომის ოფიციალურად გამოცხადებას არ დაუცდიან და პირველად ისინი დაიწყებენ მტრულად მოქმედებას ჩვენს შესახებო. ეს თუ ასე მოხდა, მაშინ ბოერები ევროპის საზოგადოების პატივისცემას დაჰკარგვენ და ინგლისელებსაც ეს უნდათ.

როგორც ისმის, ინგლისელი აფიცრები მაინცა და მაინც ვერ ყოფილან იმის კმაყოფილი, რომ მთავრობა საომრად ემზადება. გაზეთები წინააღმდეგობას აცხადებენ იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკის ჯარის უფროსად გენერალი უაიტი დანიშნა მთავრობამ. ეს გენერალი არასოდეს არ ყოფილა თურმე აფრიკაში და სრულებით ვერ იცნობს იქაურ ხალხის ზნე-ჩვეულებას. ამის გამო ცხადია, არც ის გამოცდილება ექნება მას, რომელიც საჭიროა ბოერებთან ბრძოლის დროს. უაიტს მხოლოდ ინდოეთში მოუხვეჭნია გამოჩენილ მხედრის სახელი.

ერთი ფრიად გამოცდილი მეომარი, რომელიც კარგად იცნობს სამხრეთ აფრიკას, რადგან რამდენჯერმე უომნია იქ, ძლიერ აუშფოთებია იმ გარემოებას, რომ სამხრეთ აფრიკის ჯარისკაცთათვის ინგლისის სამხედრო მთავრობას თეთრი ქუდები შეუკვრევინებია. ეს დაჰღუპავს ჩვენს ჯარსო, — ამბობს ხსენებული მხედარი, — რადგან ნიშანში ადვილი ამოსაღები იქნებიან ჩვენი ჯარის კაცებიო. ამას წინად რომ ომი ჰქონდა ინგლისს ტრანსვაალთან, მაშინაც თეთრი ქუდები ჰხურებოდათ ინგლისის ჯარის-კაცთ. ინგლისის მხრით როცა გასინჯეს დახოცილები, აღმოჩენილიყო, რომ მომეტებულ ნაწილად მათ თავები ჰქონდათ გასკვრეტილი.

—

**ფილიპინები.** ფილიპინელებს ხელმეორედ გაუგზავნიათ მოციქულები ამერიკის მთავარ სარდლისათვის და წინადადება მიუციათ მორიგების შესახებ.

გენერალი მაკ-არტური აუწყებს თავისს მთავრობას, რომ ჩემთან ორი მეამბოხე მოვიდა და მთხოვა ტყვეები გაგვცვალოთო და მანილაში მოლაპარაკება გავმართოთ მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებო. გენერალს მიუღია ეს წინადადება და მოციქულები იმავ დღეს დაბრუნებულან უკან.

როგორც ჰფიქრობენ, ამერიკელები დიდის ყურადღებით მოეპყრობიან მეცხოვრებთა წინადადებას, რადგან, გარდა იმისა, რომ ამ არხიპელაგზედ ომს დასასრული არ მიეცა, იგი უსიამოვნებასაც ჰბადებს მეზობელ სახელმწიფოებში. როგორც ვიცით, ამას წინად ჩინეთის მთავრობამ წინააღმდეგობა განუცხადა შეერთებულ შტატებს გენერალ ოტისის განკარგულების გამო, რომელითაც ჩინელებს ეკრძალვისთ ფილიპეს არხიპელაგზე გასვლა. მეორეს მხრით ინგლისთანაც მოუხდა უსიამოვნება შტატებს იმავე ფილიპინების გამო. ინგლისის ორს გემს, რომელნიც მანილიდგან წავიდნენ გონგ-კონგისაკენ, ამერიკელების სამხედრო გემი დაედევნა უკან რაღაც მიზეზისა გამო და ერთს მათგანს ყუმბარებიც დაუშინა. რაღა თქმა უნდა, ამის გამო ინგლისის მთავრობამ პასუხი მოსთხოვა შეერთებულ შტატებს. ესა და სხვა ამგვარი შემთხვევები იძულებულ ჰყოფს ამერიკის მთავრობას უეჭველად მაგრამ ჩასჭიდოს ხელი, რაიცა მშვიდობიანობის ჩამოგდებას ხელს შეუწყობს.

---

## დამკვირდი

ვისმე ვიცნობდი: სიტყვით ოქროს კოშკებს აშენებდა, უქმობით-კი თითები დასიებოდა.

ლასურიძე

* * *

ქვეყნად ერთად-ერთი ბედნიერებაა: მოვალეობა; ერთად-ერთი ნუგეში: შრომა; ერთად-ერთი სიხარული: მშვენიერება.

კარმენ სილვა.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ფრანგულს ჟურნალში, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, დაბეჭდილია ერთის პოლიციის მოხელის საინტერესო წერილი, რომელშიაც გამოანგარიშებულია ის, თუ საფრანგეთს რამდენად უჯდება სხვა-და-სხვა ბოროტ-მომქმედებთან ბრძოლა. როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, მარტო პოლიციისა და სხვა წეს-რიგის დამცველ დაწესებულებათა შენახვას სჭირდება წელიწადში 70,200,000 ფრანკი; საპყრობილეები და სატუსაღოები კიდევ მეტია. ბოროტ-მომქმედთა წინააღმდეგ საბრძოლველად საფრანგეთს მოსამსახურეთა მთელი რაზმები ჰყავს: 35,000 საზოგადო დარაჯი, 30,000 კერძო დარაჯი, 30,000 სადამოჯინო მოხელე, 15,000 ჟანდარმი, 10,000 სატყეო დარაჯი, 3,000 პოლიციის კამისარი, 5,000 ქუჩების მცველი და სხვანი. შემდეგ საფრანგეთში არის 38,000 პოლიციის კამერა, 3,000 ესრედ წოდებული დეპო (ამ დეპოებში პირველ ხანს დამნაშავეთ აპატიმრებენ, ჩვენის „უჩასტკის“ მაგვარი დაწესებულებაა), 3,000 ჟანდარმის გამგეობა, ყველა ამ გამგეობასთან მცირე საპყრობილეა, 362 სატუსაღო, 86 სასამართლო, 27 ხასიათის გამასწორებელი დაწესებულება, 3 საკატორგო საპყრობილე; ამას გარდა 86 ჯალათიცა ჰყავს საფრანგეთს. მთელი ეს ამოდენა ჯარი და დაწესებულება მხოლოდ 200,000 ბოროტ-მომქმედისა და ავაზაკის ასალაგმავად ჰყავს საფრანგეთს.

* * *

საფრანგეთის მთავრობა ეხლავე ზრუნავს, რომ მომავალ გამოფენისთვის განსაკუთრებული პოლიცია მოაწყოს და იყოლიოს რაც ხანი გამოფენა იქმნება. მით უფრო ზრუნავს ამისთვის მთავრობა, რომ ასეთს გამოფენაზედ მთელის ქვეყნის გაიძვერანი, ქურდ-ბაცაცანი, ჯიბგირები და სხვა ამ გვარის ხელობის ვაჟბატონები მოიყრიან ხოლმე თავს, რათა არეულობის დროს თავისუფლად ინავარდონ და დაუსჯელად გადააბრძანონ სხვის ქონება თავიანთ ჯიბეში. საგამოფენო პოლიცია უნდა შესდგეს 4 ინსპექტორისა, 10 პირველ ხარისხის პოლიციის მოხელისა (აკალოდოჩნი), 100 მეორე ხარისხის პოლიციის მოხელისა და 1000 პოლიციელებისაგან (გოროდოვოი). ჯიბგირების შესაპყრობად და ამათზედ თვალ-ყურის საჭერად სხვა კაცები იქმნებიან დანიშნულნი. როგორც გამოანგარიშებულია, მარტო ამ პოლიციის შენახვას დასჭირდება $2^1/_2$ მილიონი ფრანკი.

---

## გამოსადეგი ცნობა

—

თვეზის ქონი უნდა დალიოს, ვისაც თიაქარა აქვს, რევმატიზმი, ან დამპალებული კანის სნეულებანი, საჭმლის ერთი ან ორი კოვზი საჭმლის მიღების წინად, ან შემდეგ.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი

**პარიჟი.** (ოფიციალური ცნობა) გამოძიებამ დაამტკიცა, რომ პიკარის მოქმედება საიდუმლო სამსახურში ვერავის მიზეზს ვერ მისცემდა ეჭვის აღებადაო.

**ბლუმფონტეინი.** ორანჟის რესპუბლიკის საერო კრებამ დაადგინა: მიენდოს მთავრობას იხმაროს ყოველ-გვარი საშუალება, რათა უზრუნველ ყოფილ იქმნას მშვიდობიანობა ორანჟის რესპუბლიკისა და ტრანსვაალის პატივისა და დამოუკიდებლობის დაურღვევლად. შემდეგ კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ომი დანაშაულად ჩაითვლებაო. რაც მოსახდენია, მოხდეს, მაგრამ ორანჟის რესპუბლიკა-კი კეთილსინიდისიერად შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელსაც აკისრებს მას ტრანსვაალის შესახებ ორსავე სახელმწიფოს შორის არსებული კავშირიო.

**კონსტანტინეპოლი.** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მიწის ძვრის დროს ანდინის ვილაიეტში დაიღუპა რამდენიმე ასი კაცი, რამდენიმე ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. ზარალი უდრის 2 მილიონ გირვანქას.

**ბელგრადი.** ხმები დადის, რომ შიშიანობის დროის წეს-რიგი მოისპობა ამ მოკლე ხანში.

პაშიჩი ინახულა მეფე ალექსანდრემ.

17 სექტემბერი

**ლონდონი.** დღეს, საღამოს, ვაჭრობის მინისტრმა რიტჩიმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ როცა პარლამენტი შეიკრიბება, მთავრობის პოლიტიკას გაამართლებს სამხრეთ აფრიკის შესახებაო. რიტჩიმ უარ ჰყო, ვითომც მთავრობა ორ დასად იყვეს გაყოფილი, სახელდობრ — ომის მომხრეთ და მშვიდობიანობის მომხრეთ. კაბინეტი მოწადინებულია მშვიდობის დაცვას და წარმატებას სამხრეთ აფრიკაშიო, მაგრამ ეს დამოკიდებულია თეთრ ხალხთა თანასწორობაზედ ტრანსვაალშიო. მთავრობას აზრად აქვს ტრანსვაალის დამოუკიდებლობას შეეხოს, რამდენადაც საქმე შეეხება მისს შინაურს ცხოვრებასაო; თუ მშვიდობიანათ არ გათავდა ეხლანდელი უთანხმოება, პასუხის მგებლობა კრიუგერმა უნდა იკისროსო.

**მადრიდი.** არავითარი შეთანხმება არ შეიძლება სამხედრო და ფინანსთა მინისტრებს შორის. სილველა კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის თხოვნას მიართმევს ხვალ დედოფალს.

**პარიჟი.** უმაღლეს სასამართლოს კომისიმა ნება დართო დერულედისა და ნაციონალისტთა ვექილებს განიხილონ საიდუმლო საბუთის ქაღალდები, რაიცა იმათ უკვე შეასრულეს. ირწმუნებიან, რომ არავითარი დასამტკიცებელი საბუთები არ აღმოჩნდა იმისა, რომ დერულედს და ნაციონალისტებს ბრალდებულ როიალისტებთან ერთად ემოქმედნოთ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ავლევისა და ცერონისის (გორის მაზრა) გლეხები, რომელნიც დიდად დაზარალებულნი არიან სეტყვისაგან, დიდს მადლობას უძღვნიან კონსტანტინე ამირეჯიბის მეუღლეს კნეინა ქეთევანს და თავ. მიხეილ ამირეჯიბის ასულს ბარბარეს, რომელთაც მათ სასარგებლოდ აბასთუმანში მოაგროვეს ასი თუმანი ფული და გამოჰგზავნეს. ეს ფული დაურიგდათ გლეხებს თავად კონსტანტინე ამირეჯიბის ხელით. ამასთანავე თვით თავადი კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბი დიდი მადლობის ღირსია, რომ ის ასი თუმანი მომეტებულად დაზარალებულთ გაუნაწილა, და რაც არ აუთავდა, თავისი საკუთარი ფული დაურიგა რამდენსამეს. ამას გარდა თავ. კონსტანტინემ აღუთქვა სეტყვისაგან დაზარალებულ სხვა სოფლების ხალხს, რომ ამ ცოტას ხანში ამნაირად შეგროვილს ფულს მოვიტან და დაგირიგებთო.

მღვდ. მიხეილ ნასარიძე

---


# განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

(100—150—3)

იყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
дла начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА

ფასი 50 კ. (15—8)

გამოვიდა გასასყიდად ბრომიდის რუსულ ენაზედ:

НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ

თხზ. ი. ვ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 ცალისა, და გაგზავნასაც ჩვენ გავუწევთ. ადრესი: ტფილისი, ივანე როსტომაშვილს.


Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.